სსრ კავშირის თასზე

"დინამო" (თბილისი) - "დინამო" (კიევი)

გრძელდება გათამაშება საბჭოთა კავშირის 1953 წლის თასზე.

თბილისის დინამოელებმა პირველი შეხვედრა ჩაატარეს მოსკოვში კიეველ თანაკლუბელებთან. კიეველებმა თავიდანვე მაღალი ტემპი შესთავაზეს თბილისელებს და რამდენიმე სახიფათო მომენტიც შექმნეს მათ კართან, მაგრამ პირველი ბურთი მაინც მათ კარში იქნა გატანილი. ა. ღოღობერიძემ მოატყუა რა მოწინააღმდეგის სამი მცველი და მეკარე ლემეშკო, ანგარიში გახსნა.

შეხვედრის 57–ე წუთამდე უტევდნენ კიეველები, მაგრამ თამაშს კვლავ ცენტრიდან იწყებენ. მათ კარში მეორე ბურთი ზ. კალოევმა გაიტანა. 70–ე წუთზე თბილისელთა კარი აშკარა გოლისაგან იხსნა გ. ანთაძემ, ხოლო სამი წუთის შემდეგ მოწინააღმდეგის კარში მანვე გაიტანა მესამე ბურთი. თამაშის დამთავრებამდე ოთხი წუთით ადრე ჭკუასელმა ანგარიში გაზარდა (4:0). დარჩენილ დროს შედეგი არ მოუცია.

“ლელო”, 4 ოქტომბერი, 1953 წ.